


სახელმწიფო გამართვა

სურათების რამატება
გაზეთის № 644 დამატების № 113
გვირა, 8 ივნისი 1912 წ.



სრულიად სლავიანელ „შავარდენთა“ ქრება და გიმნასტიური გარჯიშო-
ბანი ვრაგაში 1912 წ. ივნისში.

ნაკვეთი კატერ მენეუსიან ეპიდემიური მარცვლება

კაკ! კაკ!

— ვინ არის?

— გამიღეთ!

— მერე ამ დროს? თქვენ ალბად გონება დაგიკარგავთ!
საცაა ლოგინში ჩავგორდები, უკვე ტანთ გავიხადე და მხო-
ლოდ ჰერანგის ამარა ვარ.

— მე ჩაგაცმევთ.

— თავებდო! საიდანაც მოთრეულხართ იქით წაეთრიეთ!

— მე თქვენ მიყვარხართ!

— ნეტი ერთი მაინც მენახა ისეთი, რომელსაც მე არ
ვყვარებოდი!..

— მე მზად ვარ თქვენთვის თავი გავსწირო, სიკვდილს და-
ვეწაფო!

— გინდ სიკვდილს დაეწაფეთ გინდ სიცოცხლეს. მე რა
მენაღვლება!

— მე ახალგაზდა ვარ, სიცოცხლით სასეს!

— და თან ბრიყვიც!.. გასწით, მომშორდით?

— მე ლამაზი ვარ—ეშხიანი.

— და თან ძალზე კადნიერი! მომშორდით—მეთქი!

— მე მდიდარი ვარ.

— და თან სულელიც! ეხლავე მომწყდით თავიდან, თო-
რებ შესახურო დავუხახებ და სულ კინწის კვრით...

— მე საყვარელი ვარ, თქვენის მეგობარ ქალისა—კლე-
მენტინასი.

— ღმერთო ჩემო, რატომ ერთბაშად არ მითხარით?..

ახალგაზდა ქალმა მყისვე გაულო უცნობს თავისი კარი.

სულ სწრაფი გოგონა.

დარბაისელი და პატიოსნებით აღსავს დიდედა ძალზე
აღლელებული და გაჯავრებული იყო თავის ახალგაზდა შვი-
ლის—შვილზე.

სურათების რამატება
გაზეთის № 644

დამატების № 113

გვირა, 8 ივნისი 1912 წ.

თავდაპირველად ორი სილა გააწნა დაბრაწულ ლოყებ-

ზე, მერე თმით ათრიგა და, გული კარგად რომ იჯერა, ასეთის
საყველურით მიმართა პაწია „უნამუშოს“.

— შე გასაწყვეტო, შენა! მაუ ეგ მართალია?.. ჯერ კბი-
ლები არ გამოგიცვლია და უკვე „საყვარელი“ გაიჩინე! აი
შევმა მიწამ კი შეექმამოს!.. რას ლრიიალებ და იცრემლები შე
საძაგელო, თექვსმეტი წლის გოგონას. ეგეც კი შეეძლებია!..

... კაცმა რომ შემოგხედოს ციონ ჩამოსული ანგელო-
ზი ეგონები, გარეგნობა წმინდას მიიგიგას, ხოლო გულსა და
თავში ეშმაკები დაგბუღებიან?..

... შინ ტიკინებს ეთამაშებოდი და გარედ კი ვაჟ-
კაცს კისერზე ეკიდები! უი დაგიდგეს ეგ ლამაზი თვა-
ლები!..


... ღმერთო ჩემო რა სირცევილია, რა თავის მოჭ-
რა!.. მერე ცუდი მაგალითების მნახველი მაინც ყოფილიყა-
ვი, შე გასაწყვეტო? შენს ოჯახში პატიოსნებისა, სიკეთისა
და სათნოების მეტს რას ისწავლიდი და შენ კი... არა, სწო-
რედ ეშმაქმა და ქაჯმა თუ შეგაცდინა!..

... ყველა-ყკელა, მაგრამ როდის მოახერხე და მოა-
სწარი, შე შეჩენებულო, სულ ჩემ თვალ წინ არ იყავი? მარ-
ტო არსად გამიშვიხარ... ერთხელ, ამ ერთი კვირის წინედ
ძაფისა და ნემსის საყიდლად გახველ და ისიც ხუთით.
მეორედ, ამ სამი დღის წინედ, შენს ავადმყოფ დეიდასთან ერ-
თი საათი დაპყავი....

... ნუ თუ ის ერთი საათი საკმარისი იყო, რომ სამუ-
დამოდ თავზე ლაფი დაგვესხა? რაც უნდა სულსწრაფი იყოს
ქალი, რაც უნდა თავა-შეებული და აღვირ წახენილი იყოს
დიაცი, მაინც დრო და ხანია საჭირო მის „შესაცდენად“...

... ქალის ბუნება თხოულობს, რომ მას ეარშიყებო-
ლენებ თვეობითა, თავს ევლებოდნენ წლობითა და შენ კი...
შენ ერთს საათში როგორ მოასწარ შე გასაგლეჯო!..

— არა, დიდედა, ქვითინით სლოკინებდა პაწია გოგონა-
შენა სცდები: ეგ „საქე“ მაშინ შემემოხვა, აი პირველად ხუ-
თის წუთით ნემსის საყიდლად რომ ვიყავი.



სოფ. ზემო გომში ტფილისის გუბერნატორი მხლებლებით, სინდიკატის დერეფანში; უკან ხალხი მოგროვილი.

გიურური ჭენება.

ლამეა, მთის ფერდოებზე, ხრამების ნაპირას, მოტიტვლებულ კლდესა და ლრებზე გიურურის ჭენებით მიექანებიან ორი მხედარი—კაცი და ქალი—მიჯნური და საყარელი. თავდავი-წყებით მიაქროლებენ გახელებულ ცხენებს და თითო-ორო-ლა სიტკებს ბურთივით ესვრიან ერთმანეთს.

- მეონი დაგვეწევიან,—ამბობს ვაჟ-კაცი.
- მაშინ ხომ დავილუპეთ!—ჩურჩულებს ქალი.
- თუ ორთავეს მოგვკლავენ—უმჯობესია!
- ოჲ, ნეტავი ორივე დაგვხოცუნ?
- მაგრამ არა, ისინი ჩვენ არ მოგვკლავენ!
- რადა გვონია?
- იმათ იციან, რომ უშენოდ სიცოცხლე ფუჭი და ამათა...
- ვაი ჩვენი ბრალი!..
- ჩემთვის სიკვდილზე უარესი იქნებოდა უშენოდ ყოფ-ნა გინდ სააქაოს, გინდ საიქაოს!..
- სიცოცხლეც და სიკვდილიც ერთად!
- შენი ქმარი არ გაგვწირავი!
- რადა გვონია?
- შენ იმიტომ არ გაგწირავს რომ უყვარხარ.
- მე იგი მძულს და მეზიზლება!
- მე კიდევ იმიტომ,—რომ ვძულვარ!

ცოტას ხნით ორნივე გაჩუმდნენ და უფრო აუჩქარეს გიურურს ჭენებას.

- შენ დარწმუნებული ხარ, რომ ჩვენთვის არავითარი ხსნა შველა არ არის?—ეკითხება ქალი.
- არავითარი!
- არავითარი თავშესაფარი?
- არავითარი!
- შენ შესაძლოდ მიგანია ჩვენი სიცოცხლე უერთმა-ნეთოდ?

- ეს ყოვლად შეეძლებელია! არწმუნებს ვაჟ-კაცი.
- მაშ თუ აგრეა—სიკვდილი! გაჭკივის ქალი.
- მეც სწორედ ეგ მინდა: სიკვდილი ხსნაა!
- გამიგონე... აი იმ კლდის ნაპირალთან...
- ჰო... საშინელი უფსკრულია!.. თვალ-ჩაუწდომელი

- მაშ დეზები და მათრახი ცხენებს!
- აჸა, გაქუსლე!
- აბა, უფრო ჩქარა... უფრო სწრაფად!..
- აჸა, მივქროლავთ!
- და ორნივე უფსკრულს ჩავეშვათ!..
- შენი უკანასკნელი კოცა კი?
- აჸა, ინებე!
- ეხლა სიკვდილი!!

და საყვარელი ვაჟ-კაცის ცხენი გადასკუპდა უფსკრულ-ში. მაგრამ ქალი, როგორც გამოცდილი ცხენოსანი, ჯადო-სნურის ძლიერებით ათრთოლებულ ცხენის სადავეს ძალზე

მოსწევს და სწორედ საზარელი ნაპირალის წინ შეაყენებს. ორნივ—ცხენი და ქალი თითქოს გაქვავდნენო...

ლამეა, ვარსკვლავთ ციმციმზე ქალი წინ გადიხება და ლიმილით ჩაჰურებს თუ როგორ იმსხვერევა და იფლითება შავბნელ უფსკრულში მისი მიჯნური და საყვარელი!

გალიკ—ია.

შე შე

ტურქისტანი ერი

ამ ბოლო დროს იგი ხშირად მიეცემოდა ხოლმე ღრმა ფიქრებს და, თვისი პატარა ოთახის ფანჯრის წინ ხის გრძელ სკამზე ჩამომჯდარი, ირგვლივ უსაზღვრო ცის სივრცეს გას-ცეკროდა.

მთელი მიდამო, სადაც ის ცხოვრობდა, ხელის-გულივით სწორს, ხრიოკ ადგილს წარმოადგენდა. თვალ-უწვდენელ სივ-რცეზე გვალვიან ზაფხულის ცხარე მზის სხივები ნიაღვრების აქაიქ დამდგარ გუბებში თქრის ფრად ბჟყერიალებდა. არ-სად მოსხანდა არც მთა, არც მწვანე, ირგვლივ. თვალს არაფე-რი ედებოდა და იქ, სადაც მისი მხედველობა ძალას ჰკარგავ-და, დედა-მიწა თითქოს ისაზღვრებოდა და ნათელ ცის სი-ვრცეს უერთდებოდა. ფრინველთაგან მხოლოდ შორი ფრე-ნით მოღალული ყვავები თუ დაუშვებოდნენ ხოლმე გუბეებ-თან. სხვა არავინ ახმაურებდა ამ მიყრუებულ, მკვდარ მიღა-მოს, რომლის შეუ გულს ფიცრულის პატარა, კოხტა შენობა მოსხანდა.

ეს იყო რკინის გზის სადგური, სადაც პატარებელი მხო-ლოდ რამდენიმე წუთით ჩერდებოდა.

ის, ამ პატარა სადგურის უფროსის თანაშემწე იყო. მისი ოთახის ფანჯარა დასკეროდა თლილი ქვით. დაფენილ ბა-ქანს, რომელსაც გვერდით წითლად შეღებილი ფიცრული ჩასდევდა. ოთახში იდგა რკინის გრძელი საწოლი, პატარა რგვალი სტოლი და ცხვირ-მოტეხილი, დაუანგებული თუნუ-ქის ჩაიდანი. იატაკზე სხვა და სხვა ფერის ფარნები და ჯოხ-ზე დახვეული ბაირალები იყო ჩამწერივებული. მარცხნა კე-დელზე საწოლის თავს გამოკიდული იყო, ძველი, ალაგ-ალაგ სხვილი თოკით დაკონკილი ფარდავი, რომელზედაც ფერად ძაფით ამოქარგული ოდნავ და მოსხანდა გამდვინვარებულ ვე-ფხვის და მონადირის სამკვდრო-სასიცოცხლო, ბრძოლის გა-მოხატულება. ფარდავის გვერდით, კედელზე გამართულ ფიც-რის პატარა თაროზე კაფანტული ეყარა რამდენიმე გაქონი-ლი, დაფურცვლილი წიგნი.


მის გარდა ამ პატარა სახლში სცხოვრობდა სადგურის უფროსი.

ის შეუ ხანს გადაცილებული იყო, მაღალი ტანისა, მო-სული, ჯანლონით საესე ადამიანი, რომელიც თითქმის ათი წელიწადი თანამდებობის და ადგილის შეუცვლელად მსახუ-



სოფ. ზემო გომში. გუბერნატორის წინ მოგროვილი ხალხი, სინდიკატის სადგომთან.

ვ რ ე ნ ი ს ს ა ქ ა ც .



მფრინავის იშვიათი თავისადასაცალი.

საფრანგეთის საზღვარსა და მატრიდ შორის თურმე ფრენა არც მაგრე რიგად უზიფათო ყოფილია. ამას წინად ცნობილ ავიატორს ბენის პირინეზე არწივები დაჰსმიან თაქს. ერთი კვირის წინად მოვეზს კალიებთან მოუზდა ბრძოლა და იძულებული იყო დაბლა დაშვებულიყო.

აქ განვხარულია მფრინავის ბრძოლა კალიებთან.

რებდა ამ სადგურზე. ის, მუდამ დილით, როცა კი სადგურს სახალხო მატარებელი მოადგებოდა, დაუჯდებოდა მას და დაიმედებული იმით, რომ მისი თანაშემწე, როგორც მუდამ, ეხლაც პირნათლად შეასრულებდა მის მოვალეობას, გაემგზავრებოდა ხოლმე სამაზრო ქალაქისაკენ, სადაც ქალალდის თამაშში და ქეიფში ატარებული დროს. როცა საღამოთი ჩვეულებისამებრ შეზარხოშებული დაბრუნდებოდა იკითხავდა საქმის ვითარებას და რა დარწმუნდებოდა რომ ყველაფერი რიგზე არის, შევიდოდა თავის ოთახში და დაუარგებულ სიმებიან გიტარაზე თავის მოუხეშავ, ბოხი ხმით უშნოდ დამდერდა სხვა და სხვა ხალხურ სიმღერებს. თუმცა ეს მხოლოდ მაშინ ხდებოდა, როცა მას ქალალდის თამაშში ბედი გაულიმებდა. მეტს წილად იგი დაღვრებილი, აღელვებული და გულ-მოსული ბრუნდებოდა ხოლმე სადგურზე, საჩქაროდ შეაღებდა თავის ოთახის კარს და ჩუმად, უსიტყვოდ ტან-გაუხდელი ჩაწვებოდა ხოლმე ლოგინში.

მისი თანაშემწე კი არასოდეს არ შორდებოდა თავის სადგურს. ლამე, თითქმის მუდამ უძილოდ ყარაულობდა მატარებლებს, დღე კი ან ეძინა, ან თავის ოთახის ფანჯრის წინ ხის გრძელ სკამზე ჩამოჭდარი თავის მღვრიე თვალებით გა-შტერებული შესკეროდა ცის მოწმენდილ, შეუცვლელ ლურჯ სივრცეს.

გამხდარი, გაყვროლებული, ტუჩებ გათეთრებული, თვალებ-ჩაცინებული და ახალგაზღურ სიცოცხლის გამომეტყველებას მოკლებული იგი დღე-მუდამ ერთ და იგივე ცხოვრებაში იყო ჩაფლული.

ის წარსული, რომელმაც მისი პატარა ცხოვრება მჭიდროდ შეკავშირია ამ სადგურის და მის მიღამოს უცვლელ ცხოვრებასთან და რომლის მოვონება მის გონებაში მხოლოდ ბუნდოვანად ინხებოდა, ერთ-გვარ, მიმქრალებულ, უფერულ ძაფებით უერთდებოდა აწყოს. და ეს მიმქრალებული, უფერული ძაფები, მისდა შეუმჩნევლად გრძელდებოდნენ, იზრდებოდნენ, მიღიოდნენ წინ და შულოდ ქცეულნი მის ცხოვრებას ქსელსავით გარშემო ეხვეოდნენ.

და მასში მომწყველეული მისი ცხოვრება შეუცვლელი, ერთფეროვანი და ცარიელი იყო.

და ამ ერთფეროვნებაში მეფობდა მხოლოდ მიყრუებული უდაბნო, უტყვი, დღე-მუდამ უცვლელი, უსულდგმულო მხარე, რომელსაც მხოლოდ ყვავ-ყორანი სოვლიდნენ ღირსეულ აღგიად, სადაც მხოლოდ მოწმენდილი ცა და ხრიოკი დედა-მიწა, უტყვად, უხმოდ შესკეროდნენ ერთმანეთს, სადაც თვალთა-ხილვისათვის მომაბეზრებელ სისწორით ლიანდაგები თითქოს უერთდებოდნენ ცისა და ქვეყნის შორის დადგებულ საზღვრის ხაზს.

და მის ცხოვრებაში სუფევდა ერთგვარობა, დაუსრულებელი, შეუშფოთებელი ერთგვარობა.

მასში არ მოიძებნებოდა ძლიერი, ყოველივე სიკეთის და ბენინერების მომსპობი ტალღა, რომელსაც ხშირად სასოწარკვეთილებამდე მიშეავს დამარცხებული ადამიანი; არ არსე-

ჰაეროპლანების დაჯახება საფრანგეთში.

- 1) გაპიტანი დემუა 2) ლეიტენანტი პენიანი 3) დამსხრეულ ჰაეროპლანების სანახაობა 4) დაჯახების საქმე

ბობდა უბედურება, რომელიც სპობს ადამიანის ყოველ დასაწყისს, მისს მომავალს, მის ოკუნებას და ნეტარებას.

არ ასეციონდა აგრეცვე ნათელი, სიხარულის და ბედნიერების წინამორბედი, აღმაფრთოვანებელი და გრძნობიერი ძალა, რომელსაც მუდამ შესტრფის ყოველი აღამიანი და რომელიც ძირიანად სცვლის მის ცხოვრებას და უღვიძებს უფრო მეტს, დაუშრეტელ ნდომით სავსე წყურვილს სიცოცხლისადმი.

მის ცხოვრების ერთგვარობას არ ასხვაფერებდა არავითარი ცვლებადება: სიცილს არ მოსდევდა ტირილი, მწუხა-რებას—სიხარული, ბელნიერებას—სევდა ნალველი და უბედურებას—ნათელი იმედი მომავლისადმი.

ასე შეუშფოთელ ერთგვარობით მიმდინარეობდა მისი ცხოვრება, რომლის თვითეული დღე იწყებოდა და თვდებოდა ისე, როგორც საზოგადოდ ყოველი დღე.

ოსმალეთ-იტალიის ომი.



ოსმალეთ-იტალიის ომის გამო. უფლის შეკრება მსმალეობის გემის ასაღორძინებლად. სცენა ქუჩაში.

მთელი ის სიჩუმე, რომელიც მის ცხოვრებას გარს ასე მდლავრად შემოხვევიდა მხოლოდ ტელეგრაფის აპარატის დაწყვეტილ ამ აზრს, ამ სიღრულოებას, მას თვალწინ რაღაც დიდი, რაღაც მოძრავი წარმოუდგებოდა ხოლმე და ეშინოდა. უყალიბო, უსახო, დიდი და მგრგვინავი უნდა ყოფილიყო მისი უხილავი ცხოვრება და ეს იყო საშინელი.

ყოველ მიმღინარე დღის ერთგვარობით მობეჭრებული იგი ხშირად მიუჟაბლოვდებოდა ხოლმე ხის პატარა შენობას, რომელიც სადგურს გვერდზე ჰქონდა მიშენებული. და პატარა ღია კარებზე მიყუდებული დიდხანს შეიცემობოდა ხოლმე შე შიგ.

აქ დღე-მუდამ იგი ერთსა და იგივე, უცვლელ სურათს ხედავდა: ბანჯლვლიან, ცხერის ძეველ ტყავში გახვეული, ოთხად მოკუნტული იწვა და უშფოთველად ხერინავდა ხოლმე თეთრ წვერ-ულვაშა, დასაჩანაკებული მოხუცებული. იგი რკინის გზის ღილი ხინის მეთვალყურე დარაჯი იყო; ღილა ადრიან, როცა კი კას ღამის ბეჭედი წყვდიადი გადაეყრებოდა მაშინ მოხუცებული ამოიდებდა მანქანას. ეს თავის განსაკუთრებულ, რაღაც საიდუმლო სიკოცხლით სცხოვრობდა. ამ სიკოცხლის ძალა ამავე თითბერს სადღაც ჰქონდა ჩახვეული თავის შიგნით, თვლებას და წვრილ აზარმაცებული ჰქონდა გაბნეული და სცხოვრობდა თავისთვის, ერთ აღგილს დაბმული; მაგრამ ამასთანავე ეს პატარატივე იყო მთელი ქვეყნის კავშირი. მისი ცხოვრება ამ საწყის ადამიანისთვის საკვირველი იყო. როცა ის კაკუნს დაიწყებდა ხოლმე, შეუცდომლად მოპქინდა ზევიდან და ქვევიდან ამბები და ატყობინებდა, რომ მახლობელ სადგურიდან მატარებელი დაიძრაო. მაშინ სადგურზე ჩვეულებრივი, მექანიკური მუშაობა იწყებოდა. და როდესაც ესევე პატარატი მეზობელ სადგურს შეატყობინებდა, რომ მატარებელი აქედანაც დაიძრაო, სადგურზე ისევ ქვებულებური, მუდმივი ერთგვარობა იწყებოდა ხოლმე. მხოლოდ ეს მატარებელთა ამბები მოდიოდა და აქავე რჩებოდა. სხვა ამბები კი, რომლებიც პატარატს ვინ იცის საიდან სად მიჰქონდა ამ სადგურს არ შეეხებოდა და ამიტომ აქ არც რჩებოდა. მაგრამ ის კი ხშირად მიუჯდებოდა ხოლმე და სულგანაბული ყურს უგდებდა პატარატის კაკუნს: ხან ვიღაცას სამშიმარს ეუბნებოდა, ხან რაღაცას ულოცავდა და ხან კი რაღაც დიდ ამბების ატყობინებდა. ის იჯდა, ყურს უგდებდა და ჰერძნობდა, რომ შორს, სადღაც ცხოვრება მდგრადი მარტინოვს, ჰერლავს, ხალხი იხოცება, ხალხი მხიარულობს, საქმობს, მოძრაობს. და როცა ყველა ამას დაუფიქრდებოდა ხოლმე, მიხვდებოდა იმ საიდუმლოებას, რომელიც მატარებელებს და შიგ მჯდომ ხალხს ამოძრავებდა. მიხვდებოდა ხოლმე ამ მოძრაობის აზრს და ამაში კი ხელს პატარატი უწყობდა. მაგრამ ხშირად, როცა კი დაუფიქრდებოდა ხოლმე და ილლაში გრძელ ჯოხს, ხელში რკინის ღიდ ჩაქუჩის დაიჭერდა და ნელი ნაბიჯით გაპუვებოდა ხოლმე ლაიანდაგს.

მას მუდამ ერთგვარი სირბილით მისდევა ხოლმე უკან პატარა კრელი ფინია. ესეც დიდიხანია რაც სცხოვრობდა ამ სადგურზე, თუმცა კი არავინ იცოდა ვინ მოიცავა ან როლის გაჩნდა იგი აქ. მისი ყეფა ჯერ არავის გაეგო! მაშინაც კი, როცა სადგურს სახალხო მატარებელი მოადგებოდა და ვაგონებიდან რამდენიმე მგზავრი ჰასაყლაპად ძირს ბაქანზე ჩამოვილოდა, ფინია კუთხეში მიშვდარი და ყურებ დაშვებული შესცემროდა მათ და უშერტყველოდ ახამხამებდა თვალებას. იგი მუდამ ჩუმად დასდევდა უკან მოხუცებულს და როცა ეს უკანასკნელი თავის ქოხში შევიღოდა და ტყავში გახვეული დასაძინებლად მოემზადებოდა, ფინიაც მას გვერდზე მოუწვებოდა და მოკუნტული ხვრინვას ამოუშვებდა ხოლმე.

და ის გაშტერებით ღიდ ხანს შესცემროდა ხოლმე ამ სურათს. შემდეგ მწარედ ამოითხებდა და ნელი ნაბიჯით თავის ოთახის კარებს შეაღებდა. მასში მუდამ უცვლელად მე-ფობდა ერთგვარი უსაზღვრო სიჩუმე: სიჩუმე, რომელიც, როგორც საზოგადოდ, თავის იღუმალობით არ იყო მომასწავებელი არც რაიმე ტრალიკულ მომავლისა, არც მოახლოვებულ ბერნიერებისა. ის იყო მხოლოდ დაუსარულებელი, უსაზღვრო სიჩუმე, რომლის ერთგვარ გარმონიას კედელზე ჩამოკიდულ რვგალი საათის ამგვარივე ერთგვარი, თანაბარი ხმა უერთდებოდა.

II

და ჩამარტინს უკანასკნელი სხივები დედა-მიწას ეთხოვებოდნენ.

და ჩვეულებრივი სიჩუმე მიღამოს ირგვლივ გადაჰუნდა.

შორს, დასავლეთით წითლიად შედებილ ცის კიდეზე, ოქროს ფერ ლრუბლების პატარა ნაჭრები ნელი დასცურავ-

და. აღმოსავლეთიდან ამოცურებული ხახევარ-მთვარე კი თავის ფერ-მკრთალ, ყვითელ სინათლეს ისე ნაზად ჰყენდა თავის გარეშემო მშვიდ, ზღვის უშფოთველ ზედა-პირის მსგავს ბინდ-ბუნდს ცას, თითქოს თავის სუსტ სინათლის უმანკო სინაზით ჰსურს ბეჭდერაზ მზის სხივების სიძლიერეს შეებრძოლოს.

ირგვლივ გამეფებულ ყრუ ღუმილს ხან-გამოშვებით ცის სიმაღლეზე მფრინავ ყვავების ჩხავილი და ფრთხევის ფართხუნი არღვევდა.

ის თავის ოთახში რკინის საწოლზე გულ-დაღმა გაწოლი და ნიკაპით ბალიშზე დაყრდნობილ ფანჯარის გას-ცქეროდა. მასში შემოცურებული მზის უკანასკნელი სხივები ჩაბლართულიყვნენ ფანჯარაზე დაგომ ფარნის შუშებში და იქიდან მაღლა ნაცრის ფერ ჭრის სხვა და სხვა გვარად აფერადებდნენ.

იგი ფიქრობდა თავის მარტოობას, რომელშიაც უცვლელი ღუმილი გამეფებულიყო. ღუმილი, გაზაფხულის თბილ საღამოსავით მშვიდი, უშფოთველი და ნაძლევიანი. და ეს ღუმილი, ეს ერთგვარობა მას სურდა წარსულ დღეთა მოგონებებით მაინც შეეცვალა, გაესხვაფერებინა. მაგრამ, რამდენსაც იგი ჰიქიქრობდა, იმდენად უფრო რწმუნდებოდა, რომ მისი წარსული ისეთივე უცვლელი იყო, როგორც აწყის; და რომ იმ ბუნდოვან წარსულში არ არსებობდა არც ერთი ისეთი წუთი, რომელსაც მის მოგონებაში წარმოდგენით, განახლებით მაინც შეეძლებოდა შეეცვალა აწყის ცხოვრების მიღინარება. იგი დარწმუნებული იყო, რომ ბავშურ, ყრმა ცხოვრების წარსულიც კი თითქოს მას არ ეკუთვნოდა და ეს უსაზღვრობა, დადებული აწყისია და წარსულს შორის მის ბავშურ წარსულ მონებათ თითქოს ბინდ-ბუნდით ჰფარავდა.

მეზობელ, სააპარატო ოთახიდან პატარატმა კაკუნი დაიწყო. მან ყური დაუგდო. მახლობელ სადგურიდან ლაპარაკობდნენ. რაღაც საშინელს, დაუჯერებელ ამბავს უამბობდა პატარატი. ზეზე წამოხტა. საშინელება, საშინელება იდგა მის მუდამ გაციებულ გულში. თვალის დასამხამებაზე მეზობელ ოთახში გავიდა და აპარატს ეცა. „მატარებებილ № 73 სადგურ ე—ნიდან ზემოდ მეოთხმოც ვერსზე გადაბრუნდა“—ეწერა ქალალის გრძელ და დაკლაკნილ ლენტზე. იმას არა სჯეროდა და ხელაკალებულმა მოლაპარაკე სადგურსა სთხოვა თქვენი დეპეშა გაიმეორეთო. გაიმეორეს. ექვი აღარავითარი იყო. ეს მატარებელი სულ სამი საათის წინედ მან თავის სადგურიდან გაისტურდა. შიგ მრავალი ხალხი იყო: ბავშვები, ქალები. პატარატი კი ისევ არაკუნებდა და შველის თხოულობდა; „საჭიროა მუშა ხელი“—ამბობდა იგი, „სალდათები“, „დახოცილები“, „დამტვრეული ვაგონები“, „წამლები“, იძალდა პატარატი. რისამე გაგება შეუძლებელი იყო. ის ფიქრობდა, სცდილობდა რამე გაეგო, მაგრამ ამაოდ. რა საჭირო იყო ყველა ის, რასაც პატარატი თხოულობდა ამას ვერ მიმხვდარიყო, მხოლოდ ერთს მიხვდა! ვიღაც დაისჯებოდა, სამსახურს დაჭარგავდა.

ის იჯდა პატარატთან და ყურს უგდებდა. პატარატი ამ საქმეზე მთელ ორ დღეს ლაპარაკობდა. მის სადგურზე არავეულებრივი მატარებელი მოვიდა: საღამათებით, აფიცრებით, ექიმებით. მოვიდა, მაგრამ არ გაჩერებულა საღამათებით. მოდიოდ, მაგრამ ამაოდ. რა საჭირო იყო ყველა ის, რასაც პატარატი თხოულობდა ამას ვერ მიმხვდარიყო, მხოლოდ ერთს მიხვდა! ვიღაც დაისჯებოდა, სამსახურს დაჭარგავდა.

ის იჯდა პატარატთან და ყურს უგდებდა. პატარატი ამ საქმეზე მთელ ორ დღეს ლაპარაკობდა. მის სადგურზე არავეულებრივი მატარებელი მოვიდა: საღამათებით, აფიცრებით, ექიმებით. მოვიდა, მაგრამ არ გაჩერებულა საღამათებით. მოდიოდ, მაგრამ ამაოდ. რა საჭირო იყო ყველა ის, რასაც პატარატი თხოულობდა ამას ვერ მიმხვდარიყო, მხოლოდ ერთს მიხვდა! ვიღაც დაისჯებოდა, სამსახურს დაჭარგავდა.

ის იჯდა პატარატთან და ყურს უგდებდა. პატარატი ამ საქმეზე მთელ ორ დღეს ლაპარაკობდა. მის სადგურზე არავეულებრივი მატარებელი მოვიდა: საღამათებით, აფიცრებით, ექიმებით. მოვიდა, მაგრამ არ გაჩერებულა საღამათებით. მოდიოდ, მაგრამ ამაოდ. რა საჭირო იყო ყველა ის, რასაც პატარატი თხოულობდა ამას ვერ მიმხვდარიყო, მხოლოდ ერთს მიხვდა! ვიღაც დაისჯებოდა, სამსახურს დაჭარგავდა.

ის უცვლელ ამაზე განუწვდველი ფიქრობდა. ეს რაღაც არაჩემულებრივი, ეს რაღაც უცნაური საქმე, რომელმაც ქვეყანა აალაპარაკა, ქვეყანა აამოძრავა, მისთვის ბუნდოვანი და ძნელი წარმოსადგენი იყო. მაგრამ ჰერძნობდა, რომ სწორედ აქ უნდა ყოფილიყო ის, რისაც საერთო მასივია ეშინოდა, მაგრამ რისაც საერთო მასივია ეშინოდა. აქ ცეცხლების სწორებით და დამატებით მოდიოდ, მაგრამ არ გაჩერებულა საღამათებით. ასეთივე სიჩქარით ჩაირა შემდეგ სხვა მატარებელ-მაც, მატარებელი საგურებრივი შეიძლება. აქ ცეცხლების უცვლელი შეასრულობა.

(დასასრული იქნება).

შალვა ტატიშვილი.